პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 3 ივნისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 122 (820) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხალხის მეგობრობას ვერავინ ვერ დაარღვევს.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის მომხდარი უთანხმოება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გარშემო მშვიდობიანათ დამთავრდა. ჩინეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა სისრულეში მოიყვანოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ამ რკინის გზის სამმართველოში, ამხ. ივანოვის მოთხოვნილება, რათა დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან ის პირები, რომლებიც არც საბჭოთა და არც ჩინეთის ქვეშევრდომნი არ არიან. სხვაფრად არ შეიძლება ყოფილიყო. ჩინეთის რეაქციონური მთავრობა ყოველ წუთს ცდილობს გასწყვიტოს ჩვენთან კავშირი და გამოესარჩლოს ინგლის—იაპონია—ამერიკის იმპერიალისტებს.

მაგრამ მისი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ ის ჩინეთის ხალხის [illegible] ყველას დაიმსახურებს. თუ საბჭოთა კავშირი სასტიკად ეჯახება პეკინის მთავრობას და ჩჟან—ცზო—ლინს, სამაგიეროთ საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულით და სიმპატიით გაჟღენთილია ჩინეთის მშრომელთა მასები და მოწინავე ინტელიგენცია. სწორედ ამით აიხსნება ის უკან დახევაც, რომელიც მოახდინა ამ ჟამად ჩინეთის მთავრობამ. მას არ შეშინებია იმის, რომ საბჭოთა კავშირი თავს დაესხმება ჩინეთს წითელი ჯარით. ჩინეთის რეაქციონურ მთავრობამ კარგად იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არავის არ ესხმის თავს. მაგრამ სწორედ ეს გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ხალხის ერთგული მეგობარია და ამისი ინტერესების დამცველი, გახდა მიზეზად ჩინეთის მთავრობის უკან დახევისა. ჩინეთის მთავრობამ იცის, თუ რამდენად დიდია პატივისცემა და სიმპატია საბჭოთა კავშირისადმი ჩინეთის ხალხში. ამიტომაც იყო რომ მან ვერ გაბედა საბჭოთა კავშირის კანონიერ მოთხოვნილების წინააღმდეგ წასვლა. მას ეგონა, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება უარს იტყოდა თავის მოთხოვნილებებზე, მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა თავის ანგარიშში.

ამხ. კარახანის სამართლიან ნოტებმა ხელი აალებინეს ჩინეთის რეაქციონერებს ჩვენთან დამოკიდებულების გაწყვეტაზე. ცხადია ჩჟან-ცზო-ლინი და მთელი ჩინეთის რეაქცია მომავალში კიდევ მრავალჯერ განიზრახავს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის ხალხს შორის არსებულ კავშირის გაწყვეტას, მაგრამ როგორც ეხლა იმე მუდამ ის დამარცხდება თავის საზიზღარ ცდებში.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების და ჩინეთის ხალხის შორის იმდენათ მტკიცე კეთილმეზობლური დამოკიდებულება არსებობს, რომ ვერავითარი რეაქციონური ძალა მას ვერ დაამხობს. კარგად დაიმახსოვრონ ეს ჩინეთის ხალხის შინაურ და გარეშე მტრებმაც.

## სამხკორთა შორის მუშაობის შესახებ.

ჩვენი ნაწილების სამხკორთა ქსელი დღითი-დღე ფართოვდება და მუშაობაც ღებულობს სწორ ხასიათს.

ამ უკანასკნელად, სამხკორთა მუშაობას მიემატა ტერკორთა ქსელიც.

წითელ არმიელები, რომლებიც ამ ერთი წლის წინად მოვიდენ ჩვენს ნაწილებში და რომლებმაც მაშინ წერა-კითხვაც კი არ იცოდენ, დღეს ისენი თავისუფლად სწერენ კორესპონდენციებს თავიანთი ნაწილების ყოფა-ცხოვრებაზე.

სამხკორთა და ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობის მიერ ტერ-კორებიც ჩაბმულ იქნენ საკორესპონდენტო მუშაობაში.

ამას მოწმობს გაზეთ „წითელ არმიელის" ფურცლებზე მოთავსებული კორესპონდენციები წითელ არმიელთა მხრივ.

ამასთანავე ერთად ამ წერილში გვსურს მიუთითოთ იმ ნაკლსა და შეცდომებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ზოგიერთ ჩვენს ნაწილებში სამხკორთა შორის მუშაობის დროს.

რედაქციას მოსდის წერილები სამხკორებისაგან სხვა და სხვა ნაწილებიდან, სადაც იწერებიან; ერთ დღეს ჩვენი ნაწილის პოლიტ-ხელმა გამოგვიცხადა: „უჩემოთ წერილი არ გაგზავნოთ გაზეთ „წითელ არმიელში."

მსგავს მოვლენებს შეიძლება ბევრგან ექნეს ადგილი, რომლებიც ვერ აღწევენ რედაქციამდე.

ასეთი მოვლენა პირდაპირ დაუშვებელია, მით უმეტეს ეხლა, როდესაც უკვე გარკვეული სახე აქვს სამხკორთა მოძრაობას.

ჩვენი ნაწილების უფ პოლიტ-შემადგენლობამ, პირიქით, უნდა ეცადონ წამოაყენონ მუშაობის ასპარეზზე, ყველა ისენი, ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებული არის სამხკორობისათვის. მათ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ დებულება სამხკორთა მუშაობის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სამხედრო პრესის მომუშავეთა თათბირზე და რომელიც დამტკიცებულია რესპუბლიკის პოლიტ-სამმართველოს მიერ.

ამ დებულების მეათე მუხლი ამბობს:

„ნაწილის ყოფა-ცხოვრების გამაშუქებელ მუშაობაში სამხკორი სარგებლობს სრული თავისუფლებით ფაქტებისა და შემთხვევების აღწერაში. სამხკორს უნდა ახსოვდეს, რომ თავის კორესპონდენციის ყოველ სიტყვაში ის არის პასუხისმგებელი. და ყოველი სიტყვა და მასალა წინასწარ უნდა აწონოს და დარწმუნდეს მის სისწორეში.

სამხკორის მიერ რედაქციაში გასაგზავნ მასალებზე დაუშვებელია რაიმე კანტროლი, ვისგანაც არ უნდა იყოს. მასალის სისწორის გასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ რედაქციას. გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალაში პასუხისმგებელია რედაქცია და ავტორი. შეთხზული, ყალბი, ცნობების გაზეთში მოთავსებისათვის ავტორის წინააღმდეგ მოქმედება და საქმის წარმოება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით და სხ."

(იხ. ბროშურა გაზ. „წით. არმიელის" რედაქციის გამოცემა: „როგორ უნდა მოეწყოს სამხკორთა ორგანიზაცია და როგორ უნდა იმუშაოს სამხკორმა".)

ეს ანბანური ჭეშმარიტება ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ ჩვენს ნაწილებში მომუშავე ამხანაგებმა, და თვით სამხკორებმაც.

კომისრებმა და ნაწილის სამხკორთა ორგანიზატორებმა უნდა მიაქციონ ამ მოვლენას სათანადო ყურადღება, დაუყონებლივ აღმოფხვრან ასეთი მოვლენები ძირიან-ფესვიანათ და გაუწიონ სწორი ხელმძღვანელობა სამხკორთა და ტერკორთა მუშაობას.

მ.—ი.

# ახალი რადიო-ამბები

## მოგვარებულ იქნა უთანხმოება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.

### მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება იმ ბრძანების საკითხში, რომელიც გამოცემულ იქნა აღმოსავლეთ—ჩინეთის რკინისგზის გამგის ივანოვის მიერ და რომლის თანახმად უნდა დათხოვნილიყვნენ რკ. გზის სამსახურიდან ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის არა მოქალაქე ქვეშევრდომები.

დათხოვა დაიწყება 2 ივნისიდან.

## საბჭოთა გაზეთი კვლავ გამოდის.

შეთანხმების დღეს დილით, ჩინეთის ხელისუფალთა განკარგულებით დახურულ იქნა საბჭოთა გაზეთი „ეხო", რომელსაც ბრალს დებდენ ბოლშევიზმის პროპაგანდაში.

საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გრანდეტმა [illegible] ზეთის გამოშვების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაემუქრა მიღწეულ შეთანხმების გაბათილებით. გაზეთი იმავე დღესვე იქნა გამოშვებული.

## ქალაქ ჩიტას ჩინელ ვაჭრების წერილი.

ჩიტაში მყოფ ჩინეთის ვაჭრებმა მიმართეს ჩჟან-ცზო-ლინს შემდეგი წერილით:

„გავიგეთ რა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის თავმჯდომარის ბაოს მოქმედება და ვიცით რა, რომ გენერალი ჩჟან-ცზო-ლინი არ მფარველობს ჩინეთის მტრებს, ჩვენ მივმართავთ მას მიიღოს ზომები გენერალ ბაოს წინააღმდეგ, რათა არ შეილახოს ჩვენი ინტერესები და რომ ჩვენ არ მოგვიხდეს გაწითლება ჩინეთის გენერლების მოქმედების გამო."

## ნიადაგს უმზადებენ სისხლის ღვრას.

ბელგრადის პოლიტიკური განყოფილების უფროსმა ლაზარევიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა კომუნისტების ტერორისტულ ორგანიზაციის „აღმოჩენის" შესახებ, რომლის მიზანიც ვითომ ყოფილიყოს ყველა სამინისტროების აფეთქება და პოლიტიკური მოღვაწეების მოკვლა. ლაზარევიჩის განცხადებით ეს გამოსვლები უნდა მომხდარიყო მოსკოვის დარიგების მიხედვით.

ბელგრადის გაზეთების შემდეგი ცნობით ამ გამოსვლებისთვის მზადება სწარმოებდა სავინკოვის მეთაურობით (რომელმაც თავი მოიკლა).

## პარტიზანული მოძრაობა ბულგარეთში.

სოფიიდან მიღებულ ცნობით იქ აღმოუჩენიათ „საიდუმლო კომიტეტები", რის გამო დაუპატიმრებიათ დიდძალი ხალხი. აღმოუჩენიათ ვითომც მრავალი დინამიტი და ცეცხლის მფრქვევი იარაღები.

მთავრობის მასიური ტერორის გამო მეტად გაიზარდა პარტიზანულ რაზმების რაოდენობა, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

## პოლონური მიწის რეფორმა.

ლონეთში ჩატარებულ მიწის რეფორმის შესახებ.

ვილენშჩინას ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურეებს დაურიგდა მიწები, რომლებიც მიიღო 4 გენერალმა, 7 პოლკოვნიკმა, 6 მაიორმა, 41 ობერ-ოფიცერმა და სამმა ღენშჩიკად ნამყოფმა ჯარის კაცმა. რამოდენიმე მამული დაურიგდა მინისტრებს, მოხელეებსა და დეპუტატებს.

## ჯაშუშ ბელავინის საქმე.

გრძელდება პოლონეთის ჯაშუშების გასამართლება. 2 ივნისს გაგრძელდა ბელავინის დაკითხვა.

ბელავინმა ჩვენებაში განაცხადა, რომ 1923 წელს ის შეხვდა ყოფილ პოლკოვნიკ დრუჟინინს, რომელმაც გაანდო მას ცნობები ორგანიზაციის-„რუსეთი რუსებისთვის" არსებობა ეს-ორგანიზაცია ფიქრობდა დამფუძნებელი კრების მოწვევას და უახლოეს მიზნად ისახავდა ყოფილ ოფიცრებზე დახმარებას რომანოვების ხარჯზე. ბელავინს, როგორც თვითონ აცხადებს, ჯერ უარი უთქვამს ორგანიზაციაში მუშაობაზე, მაგრამ შემდეგ დათანხმებია და მთელი მუშაობის განმავლობაში აუღია სულ 1.300 მანეთი.

სასამართლოში მან რიხიანად განაცხადა რომ „ეს გროშები არ ყოფილა ჩემი სირცხვილში ჩაგდების მიზეზი"-ო.

## შეთანხმება მცირე ანტანტის სახელმწიფოებს შორის.

მცირე ანტანტის უკანასკნელ კონფერენციის დადგენილებასთან დაკავშირებით, რუმინეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დადებულ იქნა სარკინისგზო ხელშეკრულება. ასეთივე შეთანხმება დადებულ იქნება სამხრეთ-სლავიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

---

## დრუჟელოვსკი-საფრანგეთის ჯაშუში.

ამ დღეებში დაიჭირეს ყალბი საბუთების მოხელე დრუჟელოვსკი, რომელსაც გაჩხრეკის დროს უნახეს მრავალი ყალბი საბუთები კომინტერნის შესახებ და სხვა. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, დრუჟელოვსკი და მისი ამხანაგი გუმანსკი ეწეოდენ ჯაშუშობის სამსახურს გერმანიაში საფრანგეთის წინაალმდეგ.

---

## ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

**ინგლისის მდგომარეობა და ინგლ. კომპარტიის ამოცანები.**

31 მაისს მოხსენებით გამოვიდა მერფი, რომელმაც აღნიშნა, რომ გასულ წელში დემოკრატიულ-პაციფისტურ ილუზიებს მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის კაპიტალიზმის დროებით მომაგრებაში, მაგრამ აუარება წინაალმდეგობა კაპიტალისტების ბანაკში ძირს უთხრის კაპიტალიზმის სტაბილიზაციას (გამაგრებას).

შემდეგ მერფიმ ანალიზი გაუკეთა დოუესის გეგმას და დაახასიათა ის როგორც წინასწარი ცდები საბჭოთა კავში- [illegible] ბრიტანეთის კაპიტალიზმის მერყევი მიდრეკილება და განაცხადა, რომ ერთად-ერთი გზა მრეწველობის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანისა არის ის, რომ მუშებმა თავის ხელში უნდა აიღონ სამრეწველო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა.

ბოლოს მომხსენებელი გადავიდა პროფმოძრაობის მთლიანობაზე, რის შემდეგ წაკითხული იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია ბოიკოტი გამოეცხადოს კაპიტალისტურ პრესას და მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები მუშათა პრესის გასაძლიერებლად.

**კამათი ამხ. მერფის მოხსენების გარშემო.**

კამათში გამოსული ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ კოლონიალურ ერებსა და ახალგაზრდათა შორის პროპაგანდის მნიშვნელობას და სხვა.

პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ პოლიტმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის კომპარტია ისახავს პროფმოძრაობის მთლიანობას არა მიზნად, არამედ მას სთვლის საშუალებად წარმატებითი ბრძოლისათვის კაპიტალიზმის წინაალმდეგ.

პოლიტმა აღნიშნა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი იმყოფება მეორე ინტერნაციონალის უფლებაში.

შემდეგ პოლიტმა გააკეთა [illegible] ინგლის-საბჭოთა უკანასკნელ პროფკავშირთა კონფერენციის დეკლარაცია შევა ისტორიაში, როგორც ბრიტანეთის პროფკავშირების პირველი დეკლარაცია კლასობრივ პოლიტიკის შესახებ.

პოლიტმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია ბრიტანეთის პროფკავშირთა მომავალ კონფერენციაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა და თუ ბრიტანეთის კომპარტია წარმატებით იმუშავებს, ის დასძლევს ყოველივე საშიშროებას მარჯვნიდან, ხოლო ბრიტანეთის პროფმოძრაობა წინ წასდგამს ნაბიჯს.

დანარჩენ ორატორებმა მოიწონეს პარტიული პოლიტიკის ხაზი.

ბოლოს კოლონიალურ საკითხის შესახებ რეზოლიუცია შეიტანა ბელლმა, რომლის სიტყვას მქუხარე ტაშით შეეგება ყრილობის წევრები.

---

## იტალია-საბჭოთა ხელშეკრულება

**იტალიის დეპუტატ ბენის მოხსენება.**

იტალია-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ ბენის პარლამენტის კომისიაში განაცხა:

„სავაჭრო და საზღვაოსნო ხელშეკრულება ჯერ კიდევ ვერ არკვევს კარგად სავაჭრო ურთიერთობას იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ დიდი დაბრკოლებები იყო ამ მხრივ შეთანხმების მისაღწევად, ვინაიდან ეს ორი სახელმწიფო დიდად განსხვავდებიან პოლიტიკური და ეკონომიური სტრუქტურით.“

შემდეგ ბენი შეეხო სავაჭრო ურთიერთობას იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის. დასასრულ კომისიამ ხმის უმეტესობით გამოიტანა დადგენილება წინადადება მისცეს პარლამენტს დაამტკიცოს 1924 წლის ხელშეკრულება.

# საბჭოთა კავშირში

## წითელ-არმიელებთან მუშათა დაახლოების დღესასწაული.

31 მაისს ნოვოროსიისკში გაიმართა მუშათა დაახლოების დღესასწაული წითელ-არმიელებთან. ბანაკად მივიდა 4.000 ნოვოროსიისკის მუშები.

დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღეს ნოვოროსიისკის ნავთსადგურში გემებზე მყოფ მეზღვაურებმა—იტალიელებმა, ინგლისელებმა, გერმანელებმა, იაპონელებმა, კორეელებმა, ინდუსებმა, არაბებმა და ზანგებმა. იტალიის გემის „ბალპერგი“-ს მეზღვაურთა ჯგუფმა ჩააბარა საბანაკო შეკრებას წითელი დროშა.

## მოსკოვიდან პეკინზე გადაფრენის შესახებ.

2 ივნისს ტროცკის სახელობის ჰაეროდრომიდან (მოსკოვში) სწარმოებდა შესამოწმებელი ფრენა ჰაეროპლანების, რომლებიც უნდა გაფრინდენ ახლო ხანებში ჩინეთში.

## „დაიცავით კანონიერება.“

„პრავდა“ს წერილი.

„ამ ლოზუნგით უნდა ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია.

სასოფლო სამეურნეო გადასახადს დიდი ადგილი უჭირავს სოფლის ცხოვრებისა და გლეხის მეურნეობის ბიუჯეტში.

საგადასახადო კამპანია სოფლად უნდა ჩატარდეს სავსებით შეთანხმებულად კანონთან.

ყოველმა გლეხმა უნდა იცოდეს, თუ რომელი ხარისხითა და ტარიფით იხდის. საჭიროა დროზე აღირიცხოს გადამხდელები და გამონაგარიშებულ იქნას გადასახადები.

ეს დღევანდელი მორიგი ამოცანაა.

ეს მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნას წარმატებით და რაც მთავარია-კანონიერად. გადამხდელების, სოფლის საბჭოებისა და სათემო აღმასკომების ყველა უფლებები სწორად უნდა იქნან დაცული.

გლეხობას უნდა მიენიჭოს ყველა დადგენილი შეღავათები.

„კანონიერებისათვის ბრძოლის“ ლოზუნგით ჩატარებულ უნდა იქნას სასოფლო საგადასახადო კამპანია“.

## კურორტებზე სამგზავრო შეღავათები.

გზათა კომისარიატის სატარიფო კომიტეტმა დააწესა სამგზავრო შეღავათები გლეხთათვის კურორტზე მოგზაურობისა და უკან დაბრუნების დროს. რკინის გზის ბილეთი და ბარგის გადატანა გლეხთათვის ეღირება 25 პროც. ნაკლები.

## ბალტიის ზღვაზე.

ლენინგრადის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა და პროფკავშირთა ყრილობის დელეგატებმა ინახულეს შეფობის ქვეშ აყვანილი ბალტიის ფლოტი. გაიმართა დიდი მიტინგი. მეზღვაურებმა მოაწყვეს საზღვაო ბრძოლის ინსცენიროვკა. ინსცენიროვკაში მონაწილეობდენ ბევრი სამხედრო გემები და მეზღვაურთა რაზმები.

## ამხ. ბუდიონიმ ინახულა შავი ზღვის ფლოტის გემები.

ბუდიონიმ ინახულა ოდესის ნავთსადგურში მყოფი შავი ზღვის ფლოტის გემები.

ახალგაზრდა მეზღვაურთა ჯანსაღმა შეხედულებამ, მათ მიერ საქმის ცოდნამ და გემების სამაგალითო მდგომარეობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბუდიონიზე.

## სრულიად საკავშირო ხელოვნების მუშაკთა ყრილობა.

სრულიად საკავშირო ხელოვნების მუშაკთა ყრილობამ ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების შემდეგ საჭიროდ სცნო საჩქაროდ იქნას მოწყობილი ხელოვნების მთავარი განყოფილება.

სათეატრო ხელოვნების გასავითარებლად სახალხო განათლების საერთო სისტემაში ყრილობა საჭიროდ სცნობს აყვანილ იქნას ყოველი ქალაქის თეატრი ადგილობრივ ბიუჯეტზე. ყრილობამ აირჩია კავშირის ახალი ცენტრალური კომიტეტი.

## საჭიროა ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ.

ბაქტეროლოგების, ეპიდემიოლოგებისა და სანიტარულ ექიმთა საკავშირო ყრილობამ დაასრულა მუშაობა. ყრილობამ აღნიშნა, რომ რსფსრ-ში ძალიან დაიკლო მძიმე ინფექციურ ავადმყოფობამ და მიუთითა შემდეგი ბრძოლის საჭიროებაზე ეპიდემიის, კერძოდ მალიარიის წინაალმდეგ.

# სამხედრო საქმე.

## საზაფხულო სწავლებისათვის.

**ათეულისა და ოცეულის სამხედრო მომზადება.**

სწავლების ნორმალური გეგმის მიხედვით ზაფხულის განმავლობაში გავლილ უნდა იქნას საბრძოლო მომზადების განყოფილებიდან: ათეულის, ოცეულის, ასეულისა და ათასეულის საბრძოლო მომზადება.

სწავლების ამ განყოფილების დაწყებისთანავე უნებურად იბადება კითხვა,—რა შედის ყველა ზემო-ჩამოთვლილ ნაწილების საბრძოლო მომზადებაში და როგორ უნდა ჩატარდეს თვით სწავლება?

დაყენებული საკითხები რომ გადავჭრათ, ჯერ უნდა მოვიგონოთ ყველაფერი ის, რის გაკეთებაც მოუხდება საბრძოლო გარემოებაში ათეულს, ასეულს, ათასეულს და ამის შემდეგ კი უკვე შესაძლებელი იქნება მეორე საკითხის გადაჭრა-თუ როგორ უნდა ჩატარდეს სწავლება.

საბრძოლო გარემოებაში მოსალოდნელია ამათუ იმ ნაწილს შეხვდეს შემდეგი შემთხვევები: 1) ჯარის ნაწილი (ათეული, ოცეული, ასეული) გაიგზავნა საძიებლად ან საზვერავად, 2) ჯარის ნაწილი მიდის სალაშქრო წესით, და ასეთი შემთხვევისთვის შემოღებულ თავდაცვის ზომებით, 3) ჯარის ნაწილი ისვენებს და ჰყავს გამოყოფილი დამცველი ჯგუფი, 4) ჯარის ნაწილი აწარმოებს ბრძოლას მტრის წინაალმდეგ, 5) [illegible] და ბოლოს, 6) ჯარის ნაწილი აწარმოებს მოგერიებას. აი ის ძირითადი ამოცანა, რომელიც გადაჭრილ უნდა იქნას ზაფხულის განმავლობაში, რათა ათეულის, ოცეულის, ასეულის და ათასეულის მეომრებს ესმოდეთ, თუ რის გაკეთება მოუხდება მათ საბრძოლო გარემოების ზემო-ჩამოთვლილ შემთხვევებში.

ეხლა გავარკვიოთ მეორე კითხვაც: როგორ უნდა სწარმოებდეს სწავლება?

რამდენადაც მთელი მშვიდობიანი სწავლება წარმოადგენს მეომრის მომზადებას ნამდვილ საბრძოლო მუშაობისათვის— როგორც დამოუკიდებლად, ისე ნაწილის შემადგენლობაში, იმდენად მთელი მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ისე, რათა ის ახლოს მიდიოდეს, ესე იგი ძალიან ჰგავდეს ნამდვილ საბრძოლო გარემოებას. ამისათვის ყველა საველე მეცადინეობებზე მთელ მეთაურთა შემადგენლობას უნდა ჰქონდეს დაწვრილებით გამომუშავებული მუშაობის გეგმა, რომელიც შეურყევლად უნდა ჩაატაროს ბოლომდის.

საველე მეცადინეობა დაუშვებელია დროსა და სივრცის გარეშე და გარემოების გაუთვალისწინებლად, რათა მეომარს არ შეექმნას ყალბი წარმოდგენა საერთოდ საბრძოლო გარემოებაზე.

ყოველი მეცადინეობა მოწყობილ უნდა იქნას ისე, რათა მთელმა ნაწილმა მთლიანად (მაგალითად მსროლელმა ასეულმა) მიიღოს ერთი საერთო ამოცანა, რომლის ასრულება სავალდებულო უნდა იყოს ბოლომდის ყველა მეომართათვის.

მაგალითად: ასეულს უკავია ასეულის სადარაჯო უბანი. ასეულის ყველა მეომრების ამოცანაა ამ უბანში დასვენებულ ჯარების დაცვა. ამ ამოცანას ასეულის მეომრები ასრულებენ განსაკუთრებული გეგმის მიხედვით: ერთი ჯგუფი მიდის მძიებლად, მეორე სათვალთვალოდ, დანარჩენები მუშაობენ ასეულის უბნის გასამაგრებლად და ასე შემდეგ.

აი აქ მოუხდება მეთაურთა შემადგენლობას იხმაროს განსაკუთრებული ღონისძიება, რათა არ დაარღვიოს ასეულზე მიცემული საერთო ამოცანა და ასწავლოს ათეულს, ასეულს ყველაფერი ის, რაც დასახულია დღევანდელ მეცადინეობაში. თუ დღეს მიდის სწავლება ზვერვის სამსახურში, საჭიროა საერთო ამოცანასთან შეფარდებით ასწავლო მზვერავის მუშაობა და ასე შემდეგ. მუშაობა გაჭიანურდება და ვერ მოვასწრებთო,-ამან არ უნდა შეგვაშინოს.

შეიძლება გავჩერდეთ ბრძოლის ან მოგერიების რომელიმე პერიოდზე, ხოლო ხვალ კვლავ გავაგრძელოთ ამ ადგილიდან, მაგრამ უნდა ამოვწუროთ კი ყველაფერი ბოლომდი.

ი. ბარ.

# უცხოეთის არმიებში.

**პოლკოვნიკ მედზინსკის ცნობების შევსება.**

პოლონეთის სეიმში სამხედრო მინისტრის სახელზე შეტანილი იქნა შეკითხვა „75 ქვეითა ლეგიონის ჯარის კაცის უ ნაურად სიკვდილის შესახებ. ეს ჯარის კაცი თავისი ნებით წავიდა ლეგიონიდან, შემდეგ თავისი ნებით დაბრუნდა ნაწილში და უნდა წამდგარიყო სასამართლოს წინაშე. მაგრამ... მოულოდნელად ლეგიონში გამოწვეული იქნა ჯარის კაცის დედა, რომელსაც შეატყობინეს, რომ მისმა შვილმა თავი მოიკლა. მკვდარი ჯარის კაცის გვამისა და რაიმე ცნობების მიცემაზე დედას უარი ეთქვა.

ხოლო როგორც მოწმეების მთელი რიგი აცხადებს, „თვითმკვლელობის“ ღამეს, ყაზარმიდან გაისმოდა საშინელი შემზარავი ყვირილი.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ხსენებულ ჯარის კაცს თავი კი არ მოუკლავს, არამედ პირიქით, დაკითხვის დროს ვეღარ გაუძლო საშინელ წამებას და გარდაიცვალაო.

აი კიდევ „თვითმკვლელობის“ ერთი ნიმუში პოლონეთის არმიაში.

# მომავალი ტერ-შეკრები-სათვის.

## 1. როგორ უნდა დაიწყოს ახალწვეულებთან სროლის სწავლება.

სროლის საქმეს ერთი თვალ-ჩინო ადგილთაგანი უჭირავს ა დისციპლინებს შორის. ჯვე სროლის უცოდინარ მრებით შევსებული არმია ვე ადამიანების უიარაღო ბოა. ასეთ ბრბოს მტერი ვილად და ჩქარა დაამარც-ს.

მეორ ეს მხრივ სროლის საქ-შესწავლა ადვილი საქმე არის. ის მოითხოვს განუწ-ტელ პრაქტიკას, განუწყვე-ლ სროლას საბრძოლო ვაზ-ბით. სხვაფერ სროლის წე-ის გაზეპირება ამაოა. სიყვა-ლი სროლისადმი და მუდ-ი პრაქტიკა სწვრთნის მეო-ს, რომელსაც მცირეოდენ ნების დახარჯვით შეეძლება რიოზული ზარალი მიაყენოს ერს.

სროლის საქმეს თვალსაჩინო გილი უჭირავს 1902 წელში ადებულ ახალწვეულთა პრ-გრამაშიც. პროგრამაში გათ-ლისწინებულია ახალწვეულ-მიერ თოფის ცოდნის შე-წმება (მისი აგებულობა, ნა-ლები, დაშლა და შეკრება). ოგრამის ასეთ მუხლს მხედ-ლობაში აქვს ის, რომ თავი-თ თემებიდან (სოფლებიდან) სულმა წითელ-არმიელებმა ვე იციან (ნახევრად მაინც) ფის აგებულობა. მაგრამ მართლე უნდა ვთქვათ, რომ ნში ძეტად ცუდადაა დაყე-ბული წვევამდე მომზადების მე. ამიტომ ახალწვეულთა რის ბევრი გამოერევა ისე-ბი, რომლებმაც ძალიან სუ-ად, ან და სრულიად არ იან თოფი. წვევამდე მომ-დების გავლისდროს ხშირად

წვევამდელებს არ ჰქონიათ თო-ფი. მით უმეტეს არ ჰქონიათ სროლის საქმის წრეები, საზო-გადოებები და სხვა. აქედან ცხადია, რომ სროლის საქმე სწავლების პირველ ნაბიჯიდან-ვე მოითხოვს განსაკუთრებით ყურადღებას როგორც მეთაურ-თა შემადგენლობის, ისე ცვა-ლებად—ახალწვეულთა მხრივ.

რომ არ გაფუჭდეს სროლის მომზადების საქმე, თავითვე და-ვაინტერესოთ ახალწვეული და შევაყვაროთ მას ეს საქმე, დაწყე-ბულ უნდა იქნას სროლის სწავ-ლება სანიმუშო სროლიდან საბ-რძოლო ვაზნებით.

ამისათვის 100 მეტრის მან-ძილზე უნდა დააყენო ხის დი-დი ფარი, შეჰკრიბოს ახალწ-ვეული ამ ფარის პირდაპირ და ერთმა კარგმა მსროლელმა მე-თაურთა შემადგენლობიდან უნ-და ესროლოს ერთხელ-ორხელ ფარს; შემდეგ უნდა მიიყვანო ახალწვეულები და ანახო, თუ სად მოხვდა ტყვია, როგორ გახვრიტა ხის ფარი და სად წავიდა.

ამის შემდეგ უნდა ჰკითხო მათ: რა მოხდა ეხლა? და რო-ცა გეტყვიან, რომ ეხლა მოხ-და სროლაო,—აი აქედან უნ-და დაიწყო პირველი გაკვეთი-ლი სროლის საქმეში.

მაშინვე უნდა მისცე მეორე კითხვა: რა არის სროლა, რის-გან წარმოსდგა ის, როგორ წავიდა ჰაერში ტყვია, როგო-რია ტყვიის მოქმედება მოხვე-დრის დროს და სხვა.

მხოლოდ ასე შეიძლება ჩვე-ნი ცვალებად არმიელების და-ინტერესება სროლის საქმეში.

ი. ბარ.

# ვარტიული ცხოვრება.

## მხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან

სკოლა ბანაკად უკვე მოეწ-ა და დაიწყო ნორმალური ოვრება. კომუჯრედიც ამუ-ვდა და შეუდგა თავისი სა-ფხულო გეგმის განხორციე-ბას. დავიჭირეთ კავშირი ად-ლობრივ რაიონულ კომი-ტთან, მივამაგრეთ ამხანაგე-სხვა და სხვა უჯრედებს და განიზაციებს. სოფლად სა-შაოდ გამოყოფილია ოთხი ანაგი, რომლებსაც დაევა-ათ, გარდა სოფლის უჯრედ-მუშაობის აგრეთვე სოფლის გომარეობის და ცხოვრე-ს ყოველ-მხრივ შესწავლა: აწუხებს სოფელს, რა სჭი-ა მას, როგორ მუშაობს ად-ლობრივი ხელისუფლება და ვ.

ამ დღეებში სკოლა აიღებს ფობას ერთ ერთ სოფელზე. ზრახულია, საშეფო სოფელ-ვაწარმოოთ გაძლიერებუ-ი მუშაობა, როგორც პარ-ული, ისე კულტურული ხა-თის.

ზაფხულის განმავლობაში ჯრედმა მიზნად დაისახა მე-პარტკონფერენციის რე-ლიუციების, საკავშირო ცა-ს მესამე სესიის მუშაობის კომინტერნის აღმასკომის ანასკნელი პლენუმის დად-ნილებების დაწვრილებითი სწავლა.

კურსანტების ცოდნის გასა-ღრმავებლად განახლებული იქ-ნება „პოლიტმიმოხილვა“, რო-მელიც გაიმართება ყოველ კვირა და რომელზედაც მოხ-სენებებს საერთაშორისო მდგო-მარეობაზე გააკეთებენ კურ-სანტები.

დაარსდა პოლიტიკური წრე რომლის ხელმძღვანელად უჯ-რედმა გამოჰყო გამოცდილი პარტამხანაგი. ამ წრის მი-ზანია ცოდნის შეძენის გარ-და მთელი კურსანტთა მასის მუშაობაში ჩაბმა და მათი აქ-ტივობის და თვითშემოქმე-დების გამომუშავება.

მიღებულია აგრეთვე ზომე-ბი ახალი კურსანტების შესას-წავლად, რომელნიც შემოვიდ-ნენ სკოლაში მაისის შუა რი-ცხვებში. ამ მიზნით ბიურომ გამოიმუშავა საგანგებო ან-კეტა.

დასასრულს უნდა აღვნიშ-ნოთ, რომ კომუჯრედში მო-მუშავე ამხანაგებმა ენერგიუ-ლად მოჰკიდეს ხელი მუშაო-ბას და დარწმუნებულნი ვართ, რომ საზაფხულო მუშაობა დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც კურსანტებს, ისე იმ გლეხობას, რომელთა შორის მოგვიხდება მუშაობა.

პარტკორი ე. ხუციშვილი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ბ ა ნ ა კ შ ი.

### საკავშირო კომისიის მუშაობა.

ყველა ნაციონალურ სამხე-დრო სკოლებთან არსებობენ სასოფლო სექტორები. მათ წი-ნად (გასული წლების ბანაკო-ბის დროს) სხვა და სხვა სოფ-ლები ყავდათ შეფობის ქვეშ აყვანილი და დახმარებასაც უწე-ვდნენ—შეძლებისდაგვარად.

თათრულსა და სომხურ სამ-ხედრო სკოლებს ძლიერ უჭირ-დათ საშეფო სოფელში მუშა-ობა. ქართველ გლეხებს და მათ ერთი მეორისა არა გაეგე-ბოდათ რა. ამ მხრივ უკეთეს პირობებში იყო—რუსული, ოცდამეერთე სკოლა: ამ სკო-ლაში რამოდენიმე ქართველი კურსანტია, ზოგს-სოფლელთა-განსაც ესმოდა რუსული და ამ რიგად—ოცდამეერთე სკოლის მუშაობამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო...

მას თავის საშეფო სოფელ შიჯნისში წ. კ. უცოდინარო-ბის სალიკვიდაციო სკოლაც ჰქონია (დაქირავებული მასწავ-ლებლით) და გასული ზამთრის განმავლობაში ერთი გამოშვე-ბაც მოუწყვია.

ამისდამიუხედავათ საკავში-რო კომისიის გაერთიანებულმა თათბირმა ა. წ. 21 მაისს დაა-დგინა, რომ სამხედრო სკოლებ-მა—სოფლებზე ცალკე შეფო-ბის მაგივრად მიიღოს რამო-დენიმე სოფელზე საერთო შე-ფობა და კულტურულ-პოლი-ტიკური და ყოველგვარი შესა-ძლო მუშაობა—ყველა—ოთხი-ვე ეროვნულმა სამხედრო სკო-ლებმა ერთად აწარმოონ.

საშეფო სოფლებად გამოც-ხადებულია: ტეზერი და შიჯ-ნისი. გადაწყვეტილია ამ სოფ-ლების დაწვრილებითი შესწავ-ლა და მათთვის კულტურული დახმარების გაწევა. მთელს სა-ბანაკო პერიოდის განმავლობა-ში უნდა გაიმართოს: მცხოვ-რებთა საერთო კრება—ორი; საუბრები და კითხვა-პასუხების საღამო—ხუთი; „კითხვა“—სა-ერთაშორისო მდგომარეობაზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე —ხუთი; სპეციალური მოხსე-ნება—სამი. — შემუშავებულია (სოფლის შესასწავლად) შესა-ფერი ანკეტა და საკალენდარო პროგრამა. თითეული მოხსენე-ბა თუ საუბრები უნდა დას-რულდეს-საკლუბო-მასიურ მუ-შაობით (ცოცხალი, იუმორის-ტული გაზეთი, ინსცენიროვკა, კინო და ინტერნაციონალური ორკესტრ-კონცერტები).

აღნიშნულ სოფლებისთვის გამოწერილია (სკოლების საე-რთო თანხით) ყველა ქართუ-ლი გაზეთები, ქართული-„გლე-ხის ბიბლიოთეკა“ (40 წიგნი) და „ლენინის ბიბლიოთეკა“ (17 წიგნი). იგივე სოფლები სამხედრო სკოლებიდან იღებენ იურიდიულსა და საექიმო დახ-მარებას...

თითო სოფლის საშეფო კო-მისია შესდგება ორი ქარ. მე-თაურთა სკოლის წარმომადგენ-ლიდან და თითო დანარჩენ სკოლების წარმომადგენელთა-გან. ისინი მუშაობას უკვე შე-უდგენ; პირველ რიგში მოხდე-ბა ქოხ-სამკითხველოების ორ-განიზაცია და კომ-კავშირელ-თა მუშაობის გადახედვა.

სამხკორი ჩვენი.

## დავვაახლოვეთ გლეხობასთან.

### არტლეგიონის 4-ხე ბატარეია.

ჩვენი ლეგიონი დაბანაკებულია სოფელ №-ში. ჩვენს ახ-ლო-მახლო სხვა სოფლებიც არიან, მაგრამ მიუხედავათ ამისა დღემდე ვერ გაგვიბამს კავშირი გლეხებთან. ამაში ცოტა არ იყოს ჩვენს მესვეურებსაც მიუძღვით ბრალი, რომელიც დაჩ-ქარებით უნდა იქნეს გამოსწორებული. ჩვენთვის აუცილებე-ლია სალი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე თუ როგორ უნდა მიუდგეთ გლეხობას და როგორი მუშაობა ვაწარმოოთ მათ-თან. ეს თავის თავად არ მოვა თუ გამოცდილებით არ შევი-ძინეთ.

საჭიროა გამოფხიზლდენ ჩვენი პოლიტხელები და გაათ-რკეცონ ამ მიმართულებით მუშაობა.

დრო აღარ ითმენს. დაგვაახლოვეთ გლეხებთან!

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## სკოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან

### (მესამე ლეგიონი)

ჩვენს ნაწილს დიდი ხნის ის-ტორია არა აქვს, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩა-მოყალიბდა ყოველგვარი მუ-შაობა და ნაწილიც შესაფერი-სად მოეწყო.

ჩვენთან ლენინის კუთხეები კარგათაა მოწყობილი და მის მუშაობაში ჩაბმული არიან წი-თელ-არმიელები და პოლიტხე-ლები. საჭიროა ამ მუშაობაში მეთაურებმაც მიიღონ მონაწი-ლეობა და გამოიჩინონ სათა-ნადო ინიციატივა.

ლენინის კუთხეებთან არის მოწყობილი „რემედასი“-ს გან-ყოფილება, რომელიც მორთუ-ლია სათანადო შინაარსის ლო-ზუნგ-პლაკატებით.

აქვე არის საკავშირო კომი-სია, რომელსაც კავშირი აქვს გაბმული, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო ორგანიზაციე-ბთან.

ჩვენი ნაწილის შეფქვეშ იმ-ყოფება სოფ. წყალტუბო, რო-მელსაც დიდ დახმარებას ვუწე-ვთ; ვუგზავნით გაზეთებს, ბრო-შურებს და ხშირად მომხსენებ-ლებსაც.

ჩვენთან ხშირად ეწყობა სხ-ვა და სხვა ლიტერატურული გასამართლებები. ლეგიონის სკო-ლის გარეშე ამ მუშაობის თა-ვის დონეზე დაყენება უნდა მიეწეროს ლეგ. კლუბის გამ-გეობის ენერგიულ მუშაობას, რაც შემდეგში კიდევ უფრო უნდა წინ წავიდეს.

გ—ტი.

## ვაზიანში.

### (გაგრძელება).

საღამოა. მიდის საუბარი ლენინის კუთხეში.

ერთი წითელ არმიელი კი-თხულობს.

— ამხანაგებო! რათ სწერენ გაზეთებში ეს რკინის ჯარის კაცებიო, ეს 600 ფუთიანი ყუმბარაო, ეს გაზები და სხვა უბედურობა ბურჟუების თავს. ეს ხომ ვიცით, არც ერთი არ გამოადგებათ ბურჟუებს ომში, ის მათ ვერ დაიხსნის და რათა სწერენ, ვითომ რა გვინდაო?

— ვინა? რკინის ჯარის კა-ცის მოკლული წ. არმიელი რა კაცი იქნება?

ჰკვირობს მეორე.

— ი, ბრმა რკინის კაცი ხომ ხრამში გადაჩეხე. მე-რე რაღას მოიგონებენ?

ხარხარობენ არმიელები.

— ამხანაგებო! განმარტავს ერთი—გაზეთ „წით. არმიელს“ არა კითხულობთ?

— კი ვკითხულობთ, მაგ-რამ რომ ველარ ვიღებთ დრო-ზე? ვაზიანის სადგურზე სამ სამი დღით აწყვია თორემ დილაც ვკითხულობთ.

— იცით, ერთი ქვეყანა აუჯანყდა საფრანგეთის ბურ-ჟუებს?

—ვიცით, აი მაროკო ჰქვიან.

—ჰო, და თუ იმდენი ყუმბა-რები აქვთ, აქამდის როგორ გაუძალდენ ცუდათ შეიარაღე-ბული მაროკოელები?

— ეგ, კი მართალია!

— აი სად არის სიმართლე!

რატომ ვერ ხმარობენ 600 ფუთიან ყუმბარებს?

ისმოდა წამოძახილები.

ბოლოს ერთი აზრს დაად გენ.

— მოდი პოლიტხელს ვთხო-ვოთ, გვიამბოს ამ აჯანყების შესახებ.

— ვკითხოთ! ვკითხოთ! გა-ისმა ხმები.

— რატომ ვერ მორჩენ სა-ფრანგეთის კაპიტალისტები ამ-დენ ხანს ომს თუ ისინი კარ-გი მამაცი ხალხია?

სიწყნარის დამყარების შემ-დეგ პოლიტხელმა ჰკითხა ერთ არმიელს:

— ქუდზე რა ნიშანი გაქვს?

— ხუთ კუთხიანი ვარსკვ-ლავი.

— რას გამოხატავს?

— ეს გამოხატავს, რომ ხუ-თივე კუთხის მშრომელები მთელი მსოფლიოსა შეერთდენ და დაარსონ ისეთი სახელმწი-ფო, სადაც გაბატონებული იქ-ნება ნამგალი და ჩაქუჩი ე. ი. შრომა.

— კარგი!

— ჩამოთვალე ქვეყნის ნაწილები!

— ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა ავსტრალია.

ჰოდა აი ეგ აფრიკა დიდი ქვეყანაა. სხვაზე მე არ ვილა-პარაკებ, რადგან ჩვენი სალაპა-რაკო საგანს არ ეხება. მე აგ-რეთვე მოგაგონებთ, რომ აფ-რიკაში ბევრი სახელმწიფოე-ბია. ყველა დაპყრობილი ჰყავთ საფრანგეთ-ინგლის-ისპანიის ბურჟუებს და სისხლსა სწოვ-ენ. ერთერთ ქვეყანას ჰქვიან მაროკო. ეს მაროკო გაყოფი-ლი აქვთ ესპანეთის და საფრა-ნგეთის კაპიტალისტებს. ბუ-ნებით ლამაზი ქვეყანაა. ადგი-ლობრივი მცხოვრებლები არ-იან: არაბები, მავრები, და რი-ფები. მათ უნდათ მოიშორონ თავიდან სისხლის მსმელი კა-პიტალისტების კლანჭები. სა-რწმუნოებით მაჰმადიანები არ-იან. ენა არაბული აქვთ. აქ მუდამ იყო აჯანყება საფრან-გეთის და ესპანეთის წინააღ-მდეგ. წინად მათ ჰქონდათ და-მოუკიდებელი სახელმწიფო. ეხლა კი როგორც გითხარით საფრანგეთ-ესპანეთის კაპიტა-ტალისტები სწოვენ სისხლს და თუ რამე კარგია, ყველა-ფერს თავის ჯიბეში უკრავენ თავს. მხოლოდ ნამდვილ მშრო-მელ ხალხს კი ცხოვრება გაუ-ძნელდა.

ეხლა აჯანყდენ და მოით-ხოვენ, რომ კმარა ამდენი ძა-რცვა-გლეჯა და სისხლის წოვ-ა. ისინიც ხომ ადამიანები არ-იან. იმათაც უნდათ ცხოვრება ქვეყანაზე.

— მერე?

— მერე და აჯანყებას მე-თაურობს, როგორც რადიო იტყობინება, აბდულ ქერიმი. საერთოდ იქაური ხალხი ძლი-ერ კარგი მეომარია და გულა-დი.

საფრანგეთის ბურჟუები შე-შინდენ და ესპანეთის ბურჟუ-ებს შეუთვალეს, რომ ერთი პირით ვიმოქმედოთ, თორემ ცუდათაა ჩვენი საქმეო.

— დახე იმ გაუმაძღრებს!!

რასაკვირველია აჯანყებუ-ლები ვერ არიან კარგათ შეი-არაღებული, საფრანგეთის ჯარი კი კარგათ არის შეიარაღებუ-ლი, მაგრამ როგორც ჩვენს გაზეთ „წით. არმიელში“ სწე-რენ ჯერ მაინც მაგრად დგა-ნან. აწი რა იქნება არ ვიცი. ის კი ვიცი რომ ჯერ კიდევ იმედია, რომ არ დამარცხდე-ბიან.

ჩვენი რასაკვირველია დაჩაგ-რულ ერების განთავისუფლე-ბის მომხრე ვართ.

წით. არმიელები ატოკდენ.

— ვაი დედასა სადა ვართ ჩვენი ქვემეხებით არ დავაფ-რთხობთ გაუმაძღარ ბურჟუე-ბის ჯარის კაცებს.—იძახის ერ-თი წითელ არმიელი.

წ. არმ. თქვენი ერდგული.

(დასასრული იქნება)

# ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲔᲑᲝ!

## გამოგზავნეთ წერილები ბანაკის ცხოვრებიდან.

## ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲗ ᲡᲐᲜᲘᲢ-ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘᲪ.

1-ლი ლეგიონის საკავშირო ასეულის წითელ არმიელებს ეს ერთი თვე გადის, რაც არ გვქონია სანიტ-საათი. ჩვენთან არიან მომაგრებული აგრეთვე ლეგიონის შტაბის წითელ არმიელები, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სანიტ-საათზე.

წარსულში სანიტ-საათებს ჩვენთან ატარებდა ლეგიონის უფროსი ექიმი, კვირაში ერთჯერ.

წითელ არმიელები დიდი ხალისით ეკიდებოდენ ამ დარგის მუშაობას.

ეს ერთი თვე გადის და სანიტ-საათები აღარა გვაქვს. ვერ გაგვიგია, რაშია საქმე! რა დააშავა ჩვენმა ასეულმა, რომ ყურადღებას არ აქცევენ ამ მხრივ.

ასეულის წითელ არმიელებს რაც შესწავლილი გვქონდა, ისიც დაგვავიწყდა ამ ერთი თვის განმავლობაში.

ჩვენი ნაწილის საბანაკოთ გასვლის შემდეგ პოლიტ-საათები გვაქვს სისტემატიურათ დღეში ერთი საათი.

ვითხოვთ, ვისაც ეს ეხებათ, მიაქციონ სათანადო ყურადღება და მოგვცენ სანიტ-საათებიც.

სამხკორი: მ—ი.

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲐᲖᲔ.

**1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდი.**

ჩვენი გუნდი შემდგარია სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელ წითელ-არმიელებისაგან. ცხადია ასეთი მდგომარეობის გამო განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს გუნდს ლიტერატურის მოწოდების საკითხში. თუ კი სადმე მოითხოვება, უნდა მოგვაწოდონ ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე.

მაგალითად არიან ჩვენთან რუსი ამხანაგები, რომლებსაც ქართულის არა გაეგებათ რა. ასევეა სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებშიც. მიუხედავად ამისა საჭირო ლიტერატურა ან სრულიად არ გვეგზავნება და თუ იგზავნება იგიც შემთხვევით, სისტემატიური ხასიათი მას არა აქვს. ეს ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას იწვევს ამხანაგებში.

საჭიროა ლეგ. სამკითხველოს გამგემ სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გამოასწოროს ეს ნაკლიც.

სამხკორი **მეჯუდა.**

## ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ!

(მე-6-ხე ტერლეგიონი)

ხსენებულ ლეგიონს აქვს თავისი საკუთარი უფ-პოლიტ-შემადგენლობის სასადილო, რომელიც მოწყობილია თვით ლეგიონში. სასადილოს საკმაოდ მოეპოვება სხვა და სხვა საჭირო ჭურჭლეულობა და მშვენივრად მოწყობილი სამზარეულო.

უფ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრების მიერ სასადილოს გამგეთ ამორჩეულ იქმნა მეთაური ამხ. მერაბოვი, რომელიც სარევიზიო კომისიასთან შეთანხმებით ყოველ ღონისძიებას ხმარობს სასადილო თავის სიმაღლეზე დააყენოს. მიუხედავათ იმისა, რომ სასადილოს ბევრი ვალები აქვს ძველი გამგის დაუდევრობით, მაგრამ სადილი მაინც კარგი ხარისხის მზადდება—პირველი და მეორე თავი.

ის უფ-პოლიტ-შემადგენლობა, რომლებიც მუდმივად თბილისში ცხოვრობენ, თავიანთ კუთვნილ ულუფას უმატებენ ოთხ-ოთხ მანეთს; ხოლო ისინი ვინც წერტებიდან არიან ჩამოსულნი, იხდიან თითო სადილში 35 კაპეიკს, რომელიც ცოტა მოიძვირებს, მაგრამ ჯამაგირამდე ნისიათ სადილობა მაინც დიდი შეღავათია ჩვენთვის, რისთვისაც ჩვენი ამხანაგური მადლობა ამხ. მერაბოვს.

სამხკორი: ანი.

## ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲔᲡ ᲜᲐᲙᲚᲘᲪ.

მაისის 20 რიცხვებში 1-ლი ლეგიონი გავიდა საბანაკოდ მთელი თავისი შემადგენლობით. ბანაკზე ფურნის გატანა ვერ მოხერხდა და დარჩა ისევ თავის ადგილას—ყაზარმაში.

აღნიშნული ნაწილის საზამთრო ყაზარმასა და ბანაკ შორის იქნება დაახლოებით ორი ვერსი. ყოველ დღე წითელ არმიელებს უხდებათ პურის ზიდვა ამ მანძილზე. პურს ეზიდებიან ხელით, რომლის დროს ხშირად უვარდებათ ხელიდან პურები და ისვრება მტვერში და სხვა.

ამასთანავე ერთად წითელ არმიელები ძლიერ იღლებიან ორი ვერსის მანძილზე პურის ზიდვით.

უმჯობესი იქნება მიაქცევდენ ამ მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას ჩვენი ნაწილის მესვეურები და გადაიტანდენ ფურნეს ბანაკში, რითაც ავსცდებით ამდენ გაჭირვებას.

სამხკორი **დურბინდი.**

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

—**სკოლის შესაკეთებლათ** სოფ. ჭყვიშში (ლეჩხუმი) შეუდგნენ ადგილობრივი სკოლის შეკეთებას.

—**აბანოების შეკეთება.** შორაპნის გლეხკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს ყველა ის აბანოები, რომლებიც დაზარალდნენ დიდი და ცუდი ზამთრის გამო.

—**ბაღის მოწყობა.** სიღნაღის ალმასკომმა განიზრახა ადგილობრივ საზაფხულო ბაღის მოწყობის საქმე გადასცეს ადგილობრივ გლეხკომს.

— **მევენახეობისათვის.** საქ. სახ.-სამეურნ. ბანკმა გაანაწილა თელავისა და სიღნაღის მაზრებს შორის 5 ათასი ცალი სიტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ზაჰესის არხი.** ზაჰესში ამ ჟამად სწარმოებს გაცხარებული მუშაობა მთავარი არხის ბეტონით მოგებისათვის უკვე შესრულებულია მთელი სამუშაოს ერთი მეოთხედი.

— **ტფილისის ალმასკომმა** აღძრა საკითხი მაწ. მოქ. კომისარიატის დადგენილებით დაწესებულ შეშის ნიხრის შეცვლის შესახებ.

— **საბიუჯეტო კომისია.** ტფილისის ალმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს მუდმივი საბიუჯეტო კომისია ალმასკომის დაინტერესებულ განყოფილებათა წარმომადგენელთაგან.

— **ტფილისის მაზრაში** სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩასატარებლათ ტფ. ალმასკომმა ნება დართო საფინ. განყოფილებას გასწიოს საჭირო დამატებითი ხარჯები.

— **პროფილაქტიური სკოლა.** ალმასკომმა დაადგინა იკისროს პროფილაქტიური სკოლის (სადაც ისწავლიან ავათმყოფობებთან წინასწარი ბრძოლის ზომების შესახებ) ხარჯები დამატებით ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რომელიც უდრის 11 ათას მანეთს.

— **„ტფილისის ვაჭრობის“** (ტიფტორგ) გამგეთ ალმასკომმა დანიშნა ამხ. მელიქოვი.

— **აგარაკებზე წასასვლელათ.** აგარაკებზე გამგზავნმა კომისიამ წელს შეამოწმა აგარაკებზე წასვლის მსურველი 2.290 ავათმყოფი.

## ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ.

**როგორ უნდა დაამზადოთ რკალი ელსმენისათვის.**

რადიოს მოყვარულთა უმრავლესობას ელსმენი მოწყობილი აქვთ არა ისე როგორც საჭირო და უფრო მოსახერხებელია სასმენათ. მათ არა აქვთ თავზე გადასადები რკალი, ამიტომ რადიო ცნობების მიღების მთელი დროის განმავლობაში ისინი იძულებული არიან ხელით ეჭიროთ ყურთან სასმენი მილი, რაც ძლიერთ დამქანცავია.

ელსმენისათვის ზემოხსენებული თავზე გადასადები რკალი ადვილად შეიძლება დაამზადოს თითეულმა რადიო მოყვარულმა.



უნდა აიღოთ რკინის (თუნუქის) 40 სანტიმეტრის სიგრძე სალტა, რომლის ერთი ბოლო იჭრება რვა სანტიმეტრის სიგრძეზე. ბოლოები უნდა შამოარგვალოთ რკინის საჭერი მარგატლით, როგორც ნაჩვენებია სურათზე „ა“. შემდეგ ეს ბოლოები ისე უნდა მოიღუნოს შიგა მხრიდან, რომ შეიძლებოდეს მათი ელსმენზე დაჭერა. სალტის მეორე ბოლო კი იღუნება სპირალურად, როგორც ნაჩვენებია სურათზე. ამნაირად დამზადებული სალტა—რკალი უნდა დაჰფაროთ ლაქით და მოიხმაროთ.

**გამტარ მავთულების გატიტვლება.**

ხშირად რადიოს მოყვარული მავთულებს ატიტვლებს იზოლიატორისაგან ჯაყვით ამის გამო წყდება მავთულები და ფუჭდება ჯაყვაც. რომ ავიცილოთ თავიდან ასეთი მოვლენა საჭიროა ჯაყვის პირი მავთულის გატიტვლების დროს გვეჭიროს ალმაცერად. თუ გვაქვს ძველი გამოუსადეგარი ჯაყვა, შეიძლება სპეციალურად ამ დანიშნულებისათვის მოვიხმაროდ, სახელდობრ ერთ ადგილზე უნდა ამოვსტეხოთ პირი, რომელიც მავთულის გასაწმენდათ გამოდგება.

**რადიო ტელეფონის სადგურის ახალი ტიპი.**

რადიო გადაცემის დროს ხშირად ხდება გადაცემის ხმის დამახინჯება მიკროფონში, რასაც მეორე მხრივ ემატება აგრეთვე მანქანის შეუწყვეტელი ხმაური. ეს დიდი უარყოფითი მხარეა სადგურის.

ამ მოვლენის გასაბათილებლად მცირე ნაკადის ცენტრალურ ლაბორატორიამ (ლენინგრადი) გამოიმუშავა რადიო ტელეფონის სადგურების ახალი ტიპი, რომელთა თავისებურობას წარმოადგენს, გადაცემის გარკვეულობა და მოდულიაციის სიღრმე, ე. ი. ბგერების დამახინჯების მოსპობა.

ამ ახლო მომავალში სადგურები გასასყიდლად გამოვა ბაზარზე.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

**უბედურების მაუწყებელი სუნი.**

ტანის უსუფთაოდ შენახვისა და სხვა და სხვა გვარი საჭმელების ხმარების გარეშე, ადამიანის ორგანიზმს აქვს აგრეთვე თითეული რასისათვის დამახასიათებელი სუნი. მაგალითად, ნეგრის ორგანიზმი უშვებს საკმაოდ მწვავე-ნიშადურის სპირტის მაგვარ სუნს. კაფრებს (ხალხია) გარდა იმისა, რომ აქვთ თავისი დამახასიათებელი სუნი, ის (სუნი) ედება აგრეთვე ყველა იმ საგნებს, რომლებსაც კი ისინი შეეხებიან.

ბოშები (ციგნები) ხასიათდებიან თაგვისა და ქონის სუნის ნარევი სუნით.

თქმა არ უნდა სხვა და სხვა სუნით ხასიათდებიან არა თუ სხვა და სხვა რასები, არამედ თითეული ადამიანიც კი, მაგრამ ჩვენი ყნოსვა იმდენად განუვითარებელია, რომ ვერ ვგრძნობთ.

კიევის პროფესორმა **იანოვსკიმ** აღმოაჩინა, რომ თითეული დაავადმყოფებული ადამიანის ორგანიზმი, უშვებს ამ ავადმყოფობისათვის დამახასიათებელ სუნს. პროფესორის ასეთი აღმოჩენის გამო, შესაძლებელი ხდება ავადმყოფის ორგანიზმის მიერ გამოყოფილი სუნით გამოირკვეს მისი ავადმყოფობა;

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის არის იანოვსკის მიერ პირველად შენიშნული მძიმე ავადმყოფის ორგანიზმისაგან სიკვდილის წინ გამოყოფებული სუნი.

ამ სუნს იანოვსკიმ უწოდა „უბედურების მაუწყებელი“ სუნი.

„უბედურების მაუწყებელი“ სუნი იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი გამოყოფა ორგანიზმიდან აუცილებლად არის სიკვდილის მოახლოების ნიშანი. სუნის შენიშვნის შემდეგ გაქარწყლებულია ყოველგვარი იმედები.

ამას გარდა იანოვსკიმ აღმოაჩინა, აგრეთვე, რომ ჭლექით დაავადმყოფებულებიც (პირველი საფეხური) უშვებენ ორგანიზმიდან ახლად გამჭკნარი თივის სუნს. ეს სუნი აუცილებელი ნიშანია ჭლექიან ადამიანში.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

**პირველ ქარ. დივ. პოლიტ-განყოფილებას.** გამოგზავნეთ წითელი არმიელი ბიულეტენ № 4-ს მისაღებათ მეორე დივიზიის პოლიტ-განყოფილებაში, რომელიც დაიბეჭდა ქართული დივიზიის ნაწილებისათვის.

**ამხ. ტრაქტორს.** თქვენი კორესპონდენცია „გაუგებრობას ჰქონდა ადგილი“ გამოდგება ადგ. კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. კინწურაშვილს.** წერილი პოლიტხელ ჩხაიძის საქმის შესახებ არ გავა.

**ამხ. დურბინდს.** კორესპონდენცია „ცოტა ყურადღება ჩვენც მოგვაქციეთ“ გადაეცით კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. კ. ბალათურიას.** თქვენ მიერ გამოწერილი გაზეთები იგზავნება პირველ ივნისიდან.

**პირველ ლეგიონს.** თქვენ მიერ კოლექტიურად გამოწერილი გაზეთების ვადა თავდება 10 ივნისს.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**კითხვა.** გასულ წლის გაზაფხულის გამოწვევის დროს, ვიყავი გადარიცხული წითელ არმიის თადარიგში, და შემოდგომის გამოწვევის დროს კი გადმომგზავნა ნაწილში შორაპნის მაზრის მიმღებ კომისიამ, სადაც უკვე ვმსახურებ.

გთხოვთ მიპასუხოთ შეკითხვაზე, მეკუთვნის თუ არა ამჟამად წითელ ჯარის რიგებში სამსახური?

წ. მოლ. **მ. ფერაძე.**

**პასუხი.** ვინაიდან შორაპნის სამაზრო სამხედრო კომისარიატთან არსებულ მიმღებ კომისიამ მიგიღოთ სამსახურში, გაგზავნათ ჯარის ნაწილში, სადაც თქვენ ამჟამად მსახურებთ, თქვენ უნდა ჩაითვალოთ ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** ახ. ლ. კომუნისტური კავშირის წევრობის წიგნაკი № 8567 გაცემული ვანის რაიონის უჯრედიდან უშანგი ბესარიონის-ძე თევზაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**